პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 72 (4842)

1973 წ. 12 აპრილი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეკორდები

9 აპრილს სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციამ პარიზში, საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში (ფაი) გაგზავნა წინასწარი ცნობა საბჭოთა ავიაციის ახალ მსოფლიო მიღწევაზე. სსრ კავშირის დამსახურებულმა მფრინავმა-გამომცდელმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსანდრე ფედოტოვმა ა. მიქოიანის კონსტრუქციის რეაქტიული თვითმფრინავით ე-266 100-კილომეტრიანი დახშული მარშრუტით ფრენისას საათში 2600 კმ სიჩქარეს მიაღწია. ეს ბევრად აღემატება მსოფლიო რეკორდს. ცალკეულ მონაკვეთებზე ფრენის სიჩქარე საათში 3000 კილომეტრზე მეტი იყო.

19^{45}

◆ **ათენი,** 11 აპრილი. ტრადიციული „კლასიკური მარათონი" — ცნობილ სოფელ მარათონსა და ათენს შორის მდებარე 42 კმ და 195 მ ინგლისელმა ქ. კირჰემმა მოიგო. წვიმიან ამინდში მისი შედეგია 2:16.45,4. შეჯიბრებაში 17 ქვეყნის 170 მორბენალი გამოვიდა.

◆ **სიდნეი,** 11 აპრილი. ავსტრალიის მძლეოსანთა შეჯიბრებაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა კ. ო'ბრაიენმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში 8.41,4 აჩვენა. ახალგაზრდა ჰ. კომონსი 802 სმ სიგრძეზე გადახტა, ხოლო ქ. ნოკი საუკეთესო იყო 400 მეტრზე თარჯრბენში — 50,8 წამი.

◆ **ლოს-ანჯელესი,** 11 აპრილი. მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა ს. სმითმა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია — ჭოკით 541 სმ სიმაღლე დაძლია. მისმა 20 წლის თანამემამულემ დ. ოუენსმა გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში — 219 სმ.

◆ **საკრამენტო,** 11 აპრილი. კალიფორნიის ამ ქალაქის სტადიონზე ამერიკელმა ო. ფოიერბახმა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია ბირთვის კვრაში — 21,41 მ.

9 შაიბა ფინელთა კარში

მოსკოვი, 10 აპრილი. დღეს გაიმართა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი. ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ (შვეცია — ჩეხოსლოვაკია) ჩვენ უკვე დავწერეთ. ახლა უფრო დაწვრილებით გიამბობთ ამ მეტისმეტად მწვავე და საინტერესო მატჩზე. თავიდან ჩეხოსლოვაკიელი ჰოკეისტები უკეთ თამაშობდნენ. მე-9 წუთზე ირჟი ჰოლიკმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა (შვედი სიოდერსტრიომი 5 წუთით გაძევებული იყო) და პირველი გოლი გაიტანა. პირველ პერიოდში ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე პერიოდის პირველივე წუთზე სიოდერსტრიომმა „შეცდომა გამოისყიდა" და ანგარიში გაათანაბრა, მე-10 წუთზე კი ლუნდსტრიომმა მშვენივრად გამოიყენა ჩეხოსლოვაკიელი პალეჩეკის შეცდომა და თავისი გუნდი დააწინაურა. მაგრამ 9 წუთის შემდეგ პალეჩეკმა თავისი შეცდომა გამოასწორა და მეორე გოლი გაიტანა ლიოფკვისტის კარში.

მესამე პერიოდის მე-6 წუთზე ჰლინკამ ანგარიში შეცვალა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა საინტერესო ამბავი: მატჩის დამთავრებამდე ათწუთნახევარი რჩებოდა, როცა მსაჯმა მოედნიდან 2 წუთით გააძევა იაროსლავ ჰოლიკი, ნახევარი წუთის შემდეგ კი მას ძმა მიუჯდა გვერდით (ეს უკანასკნელი 5 წუთით „დაასვენეს"). ასე რომ, წუთნახევრის განმავლობაში ხუთი შვედი სამ ჩეხოსლოვაკიელს ეთამაშებოდა. სწორედ ამ მომენტში თავი ისახელა ვეტერანმა სტერნერმა — მე-11 წუთზე ანგარიში გაქვითა.

დარჩენილ დროში ორივე კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა — 3:3.

მეორე მატჩი, საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტებს შორის გაიმართა. ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა, როცა შადრინმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. მე-15 წუთზე მარტინიუკმა ანგარიში გაზარდა, ხოლო 3 წუთის შემდეგ იაკუშევმა მესამე შაიბა გაიტანა ვალტონენის კარში.

მეორე პერიოდი ახალი დაწყებული იყო, როცა კეტოლამ ერთი გოლი გაქვითა, რასაც მე-11 და მე-12 წუთებზე ბოდუნოვმა და ანისინმა ორი შაიბით უპასუხეს, ცოტა ხნის შემდეგ კი პეტროვმა მეორე პერიოდის ბოლო შაიბა გაიტანა.

მესამე პერიოდში პეტროვმა კვლავ აიღო ფინეთის ნაკრების კარი. მე-7 წუთზე მალცევმა გაზარდა ანგარიშში სხვაობა, მე-10 წუთზე კი პეტროვმა კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის კარი. ანგარიშით 9:1 გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა.

სნაიპერთა სიაში I ადგილზეა ვ. პეტროვი — 21 ქულა (12 გოლი და 9 საგოლე გადაცემა), II — ა. მარტინიუკი — 15 ქულა (12 გოლი და 3 საგოლე გადაცემა).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრკ	7	7	0	0	70—12	14
შვეცია	7	5	1	1	35—15	11
ჩეხოსლოვაკია	7	4	1	2	31—14	9
ფინეთი	7	3	0	4	22—28	6
გფრ	7	1	0	6	15—59	2
პოლონეთი	7	0	0	7	9—54	0

ყველა ვარჯიშში იმარჯვა

ამას წინათ რუსთავში, სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში, გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის (2), ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები.

გუნდურ ასპარეზობაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა თბილისის პირველმა კოლექტივმა (მწვრთნელები ნ. სალუქვაძე და ა. ტიუვაევა), II ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა, ხოლო III ადგილზე ქუთაისელები გავიდნენ. (თბილისის მეორე გუნდმა ისეთივე შედეგს მიაღწია, როგორსაც ბათუმელთა კოლექტივმა, მაგრამ უკონკურსოდ ასპარეზობდა).

პირად პირველობაში სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის საუკეთესო იყო თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. ქათამაძე, რომელმაც ყველა სახეობა მოიგო. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი სპორტის ოსტატი ზ. ჩოჩია. III ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა ნ. თევზაძემ (თბილისი).

რ. გაბრიჩიძე.

(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

სურათზე: ნ. ქათამაძე ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

ჯილდოები ჩემპიონატის მონაწილეთათვის



პრიზი, რომელიც გადაეცემათ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებს — მეკარეს, მცველს, თავდამსხმელს.

პრიზი გამარჯვებული გუნდისთვის.

პრიზი, რომელიც გადაეცემა II ადგილზე გასულ გუნდს.

პრიზი III ადგილზე გასული გუნდისთვის.

პრიზები გაკეთდა საიუველირო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში (ლენინგრადი).

ვ. უნ და-სინის ფოტოები (საკდესი).

ძალას ვეტერანებიც ცდიდნენ

აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები ადგილობრივი შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ სოხუმში შეიკრიბნენ, რათა მძლეოსნურ კროსში „პრავდის" პრიზზე ეასპარეზათ.

1000 მეტრზე მორბენალ გოგონებში თავიდანვე სოხუმელი ვ. სულავა და გალელი ნ. შენგელია დაწინაურდნენ. სულავამ ბოლო მეტრებზე შეძლო მეტოქისთვის გამარჯვების გამოგლეჯა.

ქალიშვილთა შეჯიბრება 1500 მეტრზე რბენაში გალელმა ნ. კვარაცხელიამ მოიგო.

ჭაბუკები 3 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საუკეთესო იყო აფხაზეთის ჩემპიონი ვ. პოგოჟევი (სოხუმი). ამავე დისტანციაზე ძალებს ცდიდნენ მამა-შვილი ვ. და ე. ოგნევები. 54 წლის ვ. ოგნევმა ვეტერანთა შეჯიბრება მოიგო.

ყველაზე მეტი მონაწილე 5-კილომეტრიან კროსს ჰყავდა. სოხუმელმა ვ. გვოზდეცკიმ 15.54,0 აჩვენა და პირველობაც დაისაკუთრა. II ადგილზეა ოჩამჩირელი ვ. ქანბა, III — რ. მიქავა (გალი).

ყველაზე გრძელ, 8-კილომეტრიან კროსში გაიმარჯვა ტყვარჩელელმა სამთო ინჟინერმა, პირველთანრიგოსანმა ა. ოვსიანიკოვმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს სოხუმელებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გალისა და გუდაუთის რაიონების ნაკრები გუნდები გავიდნენ.

ვ. სემიონოვი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სოხუმი.

პარკის ხეივნებში

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გაიმართა აჭარის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში „პრავდის" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „დინამოს", „განთიადის", „ვოდნიკის", „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" 70 მძლეოსანი.

გოგონათა შორის 1000 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მიიჭრა ბურევესტნიკელი გ. ჯიმშერაძე — 3.34,0.

ქალთა შორის 2000 მეტრზე ასპარეზობაში სტარტიდანვე ვოდნიკელი თ. თოთიბაძე დაწინაურდა და გაიმარჯვა — 7.26,0.

ყველაზე მეტმა მონაწილემ 3000 მეტრზე მორბენალ ჭაბუკთა შეჯიბრებაში მოიყარა თავი. ჩემპიონი გახდა თ. სადრაძე („განთიადი").

იუნიორთა შორის 1500 მეტრზე რბენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესის სახელი მოიპოვა გ. გოლობოროდკომ („ბურევესტნიკი") — 5.43,0.

5 კილომეტრზე შეჯიბრება დინამოელმა ვ. დამნინმა მოიგო—17.05,0.

8 კილომეტრზე ჩემპიონი გახდა ვოდნიკელი პ. ციშნიაკოვი — 29.21,0.

გუნდურ ჩათვლაში პრიზი დინამოელმა მძლეოსნებმა მოიპოვეს — 30 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა „განთიადის" ნაკრები — 49, III—„ვოდნიკის" კოლექტივი — 51.

ო. მურვანიძე.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

„დინამო“ 50 წლისაა

პირველი ნაბიჯები

საკავშირო სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ 18 აპრილს 50 წელი შეუსრულდება. ეს მთელი საბჭოთა სპორტის დღესასწაულია, ვინაიდან „დინამო“ სსრ კავშირში არა მარტო უძველესი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებაა, არამედ, უდავოდ, ყველაზე მოწინავეც. ამ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად საქართველოს დინამოელებიც დღესასწაულობენ.

მართალია, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო ოფიციალურად 1925 წლის ოქტომბერში შეიქმნა, მაგრამ საქართველოს დინამოელთა მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი ვ. ხუმაროვი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ 1922 წელს არსებობდა მომავალი საზოგადოების პირველი სპორტული სექციები: სროლისა, ცხენოსნობისა, ნადირობისა, ჭადრაკისა, ტანვარჯიშისა. მოგვიანებით, უკვე 1923 წელს, სარბიელზე გამოჩნდნენ მძლეოსნები და ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა ორი გუნდი. განსაკუთრებით პოპულარული იყო სროლა. ვარჯიშობდნენ მთაწმინდის მისადგომებთან, სადაც ფუნიკულორის ქვედა სადგურის ახლოს მოიძებნა მოხერხებული ადგილი ბუნებრივი სასროლეთისთვის. მაშინ ამ სექციის აქტივისტები იყვნენ ა. საჯაია, გ. შაფიროვი, პეტროსიანი, ვ. ხუმაროვი და სხვ.

დიდი იყო ინტერესი ცხენოსნობისადმი, თუმცა თავდაპირველად სექციას მხოლოდ ოთხი ცხენი ჰყავდა. მეცადინეობები ტარდებოდა ან „მანეჟებში“ სახანძრო დაცვის შენობის პირდაპირ და „სობოროს“ ეზოში, ან ქალაქგარეთ, ვაკის რაიონში. საცხენოსნო სპორტის პიონერებს შორის შეიძლება დავასახელოთ ა. საჯაია, მალიუტკინი, ტარასიანი, პოლიუდოვი, ბორტნოვსკი.

აქტიურად მუშაობდა ტანვარჯიშის სექცია — ქალთა და ვაჟთა ჯგუფები. ვაჟთა ჯგუფს ამეცადინებდა გ. იოსებაშვილი ჯერ ყოფილი პირველი გიმნაზიის სპორტულ დარბაზში, შემდეგ ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის შენობაში.

იყო ოცამდე მძლეოსანი-დინამოელიც, რომლებიც თავდაპირველად ლენინის სახელობის სტადიონზე ვარჯიშობდნენ. მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მ. ვოლკოვი (სექციის თავმჯდომარე), ი. კაპეცკი, კუზმინი.

მუშაობდა საჭადრაკო სექციაც. მოჭადრაკეები თავიანთ კლუბში იკრიბებოდნენ ნოვო-ბებუთოვის ქუჩაზე.

სხვებს არც ფეხბურთელები ჩამორჩებოდნენ. ორი გუნდი სისტემატურად თამაშობდა ერთმანეთთან პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე პლაცზე. 1925 წლის გაზაფხულზე კი მათ პირველად მიიღეს მონაწილეობა საქალაქო გათამაშებაში. საფეხბურთო საქმეებს იმ ხანებში მ. ვოლკოვი და ნ. ბლანკმანი მართავდნენ.

ეს სექციები, რასაკვირველია, ერთმანეთისგან განცალკევებულად როდი არსებობდა. მათი მუშაობის კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა ეგრეთ წოდებულ ტექნიკურ საბჭოს ევალებოდა. ამრიგად, 1923 წლის აპრილისთვის, როცა მოსკოვის „დინამო“ შეიქმნა, საქართველოში უკვე არსებობდა ანალოგიური სპორტული ორგანიზაციები, რომელთა წევრებიც, მოსკოველთა მაგალითისამებრ, იმავე 1923 წლის მეორე ნახევრიდან თავს დინამოელებს უწოდებდნენ.

თავდაპირველად მთელი მუშაობა მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე ტარდებოდა. საზოგადოებრივი იყო ყველა ინსტრუქტორი, „აპარატის“ ყველა მუშაკი. პირველი და დასაწყისისთვის ერთადერთი შტატით მომუშავე საზოგადოებამ მხოლოდ 1924 წელს აიყვანა. ეს გახლდათ ნ. ბლანკმანი. საქმის ასეთი ორგანიზაცია, ბუნებრივია, ძალიან აიოლებდა საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ სახსრების უკმარობა მაინც ზღუდავდა მუშაობას. აბა, რა წარმატებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა შემოსავლის ერთადერთი წყარო (თუ საწევრო გადასახადებს არ ჩავთვლით) სპორტული საქონლით მოვაჭრე პატარა ჯიხური იყო?

მატერიალური მდგომარეობა ძალიან გაუარესდა 1925 წლის შუა პერიოდიდან, როცა რესპუბლიკაში ყველგან დაიწყო დინამოელთა ორგანიზაციების შექმნა და ისინი „დინამოს“ საქსაბჭოში გაერთიანდნენ. დინამოელებმა იმთავითვე შემოიღეს წესი, რომელსაც დღემდე მკაცრად მისდევენ: სახელმწიფოს ჯიბეში ხელი არ ჩაეყოთ და მხოლოდ საკუთარი სახსრებით ეცხოვრათ. მაშ სად ენახათ გამოსავალი?

ახალგაზრდა საზოგადოებამ საფინანსო და სავაჭრო განყოფილებები შექმნა. 1926 წლის დამდეგს სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების თანხმობით „დინამომ“ თბილისში, რუსთველის პროსპექტზე ვექსილით შეიძინა საკანცელარიო ნივთების მაღაზია, რომელმაც სპორტული საქონლის გაყიდვაც დაიწყო. შემდეგში სპორტული საქონლით ვაჭრობა გაჩაღდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც (ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი). გაიხსნა მეორე მაღაზიაც თბილისში (პლეხანოვის პროსპექტზე). ამას გარდა, თბილისის სპორტულ მაღაზიასთან მუშაობა დაიწყო სანადირო თოფების შემკეთებელმა სახელოსნომ. ამ სახელოსნოში მხოლოდ ორი კაცი მუშაობდა, მაგრამ გარკვეულ შემოსავალს ისიც იძლეოდა. ყველაფერმა ამან „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო მატერიალურად ფეხზე დააყენა.

ამრიგად, 1926 წლიდან რესპუბლიკაში „დინამოს“ განვითარების ახალი პერიოდი დაიწყო. მატერიალურად მზარდ სპორტსაზოგადოებას საშუალება მიეცა გაეშალა სექციური მუშაობა, დახმარება გაეწია თავისი ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის, გაეფართოებინა მათი ქსელი რესპუბლიკაში, დაეწყო საკუთარი სპორტული ბაზების მშენებლობა, დაეკავშირებინა მასობრიობისთვის ზრუნვა სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებასთან, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სპორტულ ცხოვრებაში „დინამოს“ მნიშვნელობასთან.

მოღვაწეობის ფართოდ გაშლის პერიოდი

ეს პერიოდი, რომელიც 1926 წელს დაიწყო და 1931 წლამდე გაგრძელდა, იყო ძალის მოკრებისა და პირველი მნიშვნელოვანი წარმატებების ხანა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის მასშტაბითაც.

ამ წლებში „დინამომ“ თბილისში ააგო თავისი პირველი პატარა სტადიონი (პლეხანოვის პროსპექტზე), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქალაქში დინამოელთა ფეხბურთის განვითარებაში. ამ სტადიონთან იყო სპორტული დარბაზი (კინოთეატრი „მულენ-რუჟი“ გადააკეთეს). იქ მეცადინეობდნენ ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები და ფრენბურთელები. მოჭიდავეები და ძალოსნები დაბინავდნენ კლუბ „კატორში“, ჩიტაძის ქუჩაზე, სადაც ახლა სკვერია. ცოტა მაღლა ჩოგბურთის კორტები იყო განლაგებული.

რესპუბლიკაში „დინამოს“ ცალკეული სპორტული ობიექტების მშენებლობის საკითხს რომ აღარ დავუბრუნდეთ, აქვე ვიტყვით, რომ იმ წლებში დაწყებული საქმე დღემდე წარმატებით გრძელდება. ვასახელებთ ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებს:

1931 წელს მწყობრში ჩადგა სტადიონი ქუთაისში.

1932 წელს თბილისის დინამოელებმა მიიღეს შესანიშნავი სპორტული კომპლექსი, რომელიც ბესიკის ქუჩაზე აშენდა. ბაზას ჰქონდა სამი დარბაზი (ტანვარჯიშისა და სპორტული თამაშებისა, ძალოსნობისა და კრივისა, ტირი), საექიმო კაბინეტი, ოთახი საზოგადოების აპარატისთვის.

იმავე 1932 წელს ბათუმში მუშაობა დაიწყო საწყლოსნო სადგურმა.

1934 წელს საწყლოსნო სადგური გაჩნდა სოხუმში.

1935 წელს თბილისში გაიხსნა რესპუბლიკაში დღემდე ყველაზე დიდი სპორტული ნაგებობა — „დინამოს“ სტადიონი. მას ჰქონდა საქართველოში პირველი დრენირებული მინდორი ბალახის საფარით. 1950 წელს სტადიონის ტრიბუნების ქვეშ მოაწყვეს საცურაო აუზი და დარბაზები სპორტული თამაშებისთვის, ტანვარჯიშისთვის, ჭიდაობისთვის, კრივისთვის, ძალოსნობისთვის. ოთახი გადაეცა მოტოსექციას. ამჟამად მიმდინარეობს სტადიონის რეკონსტრუქცია (არსებითად იგი ხელახლა შენდება). მისი რკინა-ბეტონის ტრიბუნები 70 ათას მაყურებელს დაიტევს. სტადიონს ექნება ახალი საფეხბურთო მინდორი და მძლეოსნური ბილიკები სინთეზური საფარით. მომავლისთვის ამ ბაზაზე იგეგმება უდიდესი სპორტული კომპლექსი, რომელიც პარკთან ერთად მტკვრის სანაპირომდე გაიჭიმება.

1938 წელს აშენდა სტადიონი ბათუმში, 1942 წელს — სოხუმში.

1942-43 წლებში მწყობრში ჩადგა სამთოსათხილამურო ბაზა ბაკურიანში.

1949 წელს თბილისში დამთავრდა საჩოგბურთო სტადიონის მშენებლობა.

ასეთია რესპუბლიკაში „დინამოს“ ყველაზე დიდი სპორტული ნაგებობების შექმნის ქრონიკა.

ვუბრუნდებით 1926-32 წლებს და პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ მანამდე დანერგილ სახეობებს იმ ხანებში დაემატა ავტო-მოტოსპორტი, ცურვა, ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი. ბათუმსა და სოხუმში გამოჩნდნენ აფროსნები. ამ პერიოდის მიწურულს დაიწყო მუშაობა მშდ კომპლექსის I საფეხურის ნიშნოსნების მოსამზადებლად. ამ პერიოდში აღსანიშნავია „დინამოში“ გამოცდილი ინსტრუქტორების მოზღვავება, რამაც სულ მალე დადებითად იმოქმედა საზოგადოების სპორტულ შედეგებზე.

1926 წლის თებერვალში თბილისის „დინამოს“ გუნდში უკვე თამაშობდნენ ცნობილი ფეხბურთელები (ა. ჟორდანია, ა. გონელი, ვ. ამბოკაძე, ა. გალპერინი, დ. ცომაია). 1928 წელს „დინამომ“ ჩემპიონობა მოიპოვა როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის სპარტაკიადებში.

1926-32 წლებში ძლიერი საფეხბურთო გუნდები ჩამოყალიბდა ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში. ქუთაისელთა შორის აღნიშვნის ღირსია გ. კილაძე, არა მარტო კარგი ფეხბურთელი, არამედ ნიჭიერი კალათბურთელი და მძლეოსანიც.

იმ დროისთვის „დინამოში“ თავი მოიყარეს ძლიერმა მძლეოსნებმა, რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის რეკორდსმენებმა, ჩემპიონებმა და პრიზიორებმა. გ. კილაძის გარდა გუნდში შედიოდნენ ლ. სულიევი, კ. მალიშკოვი, ლ. ფალავანდიშვილი, ვ. ბირშერდი, მ. პეროვი, ა. შტემპელი, ბ. დიაჩკოვი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ვინაიდან ძალიან მაღალ შედეგებს აღწევდა და არაერთგზის ყოფილა საკავშირო შეჯიბრებათა პრიზიორი. მაგრამ ყველაზე ბრწყინვალე შედეგებს მძლეოსნობაში იმ ხანებში მიაღწია გ. შხვაცაბაიამ (ამჟამად ორი აკადემიის წევრკორესპონდენტმა), საქართველოსა და ამიერკავკასიის რეკორდსმენმა და ჩემპიონმა სპრინტერულ რბენასა და ხტომებში, რომელმაც 1929 წელს სიმაღლეზე ხტომაში საკავშირო რეკორდი დაამყარა.

ყველაზე თვალსაჩინო სპორტსმენთა პლეადიდან, საქართველოს „დინამოს“ საუკეთესო აღზრდილებიდან კიდევ რამდენიმე კაცი უნდა დავასახელოთ. საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭიდავე იყო თბილისელი გ. პილნოვი, რომელიც მოსკოვში სასწავლებლად გადავიდა და რვაჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. სსრ კავშირში უძლიერესი წყვილის სახელს რამდენიმეჯერ ფლობდნენ ჩოგბურთელები ე. ნეგრებეცკი და ა. მდივანი.

გამორჩეულ დინამოელთა ჩამოთვლისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მესაზღვრე ნ. გოლუბნიცკის. ტყვიის სროლის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი, თბილისის „დინამოს“ საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, იგი 1930 წელს დაიღუპა როცა გმირულად იცავდა ქვეყნის საზღვარს მკვლელებისა და ყაჩაღების ბანდისგან. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე ვ. ევგრაფოვი, რომელიც თვითონაც მძიმედ დაიჭრა, წერს: „ნიკოლოზ გოლუბნიცკი სამ მესაზღვრესთან ერთად მამაცურად შეებრძოლა სამასკაციან ბანდას. თვითონ გმირულად დაეცა, მაგრამ მტერი არ გაახარა“. მას შემდეგ იმ სასაზღვრო საგუშაგოს სამუდამოდ მიენიჭა მისი უფროსის ნ. გოლუბნიცკის სახელი.

ნ. გოლუბნიცკის ამ გმირობაში ჩვენი აზრით დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს დინამოელთა ორგანიზაციასაც, რომლის აღზრდილი და აქტიური მუშაკიც იგი იყო.

აქვე ზედმეტი არ იქნებოდა ხაზი გაგვესვა, რომ საქართველოს დინამოელები არასოდეს იფარგლებოდნენ საკუთარი, მხოლოდ ფიზკულტურული და სპორტული მოღვაწეობით. პირიქით, ისინი მუდამ მხარს უჭერდნენ მაღალ მოქალაქეობრივ ტრადიციებს, მუდამ უდიდესი ყურადღება ექცეოდა ამ თვისებების გაღრმავებას ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებში, საზოგადოების წევრებში. „დინამო“ მუდამ სოციალისტური მშენებლობის — ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული და თავდაცვითი ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. ერთ-ერთ თავის უმთავრეს ამოცანად ამ საზოგადოებას მუდამ მიაჩნდა ქვეყნის მასულდგმულებელი იდეების, პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი ღონისძიებების პროპაგანდა.

მ. ამნიაშვილი,
ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება).

• • •



ეს სურათი ბაქოშია გადაღებული 1926 წლის 5 თებერვალს — ერთმანეთს ხვდებიან აზერბაიჯანისა და საქართველოს დინამოელი ფეხბურთელები.

თბილისის დინამოელები: მარცხნიდან — დ. ცომაია (ბურთით), დ. ქსენოფონტოვი, ნ. ბლანკმანი, ვ. შებოლდაევი, ა. ჟორდანია, ვ. ცომაია, გ. თედეევი, ა. გალპერინი, პ. გოლდობინი, ა. გონელი, ვ. ამბოკაძე.

უკეთესი დრო შევარჩიოთ

თბილისში, ფალავანთა კლუბის საჭიდაო სარბიელზე ჩატარდა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის ღია პირადი პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ 1952-55 წლებში დაბადებულნი. ასპარეზობის მთავარი მიზანი იყო პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და შერჩევა. შეჯიბრება ახალი წესებით ჩატარდა, რამაც ბრძოლას ინტერესი და დაძაბულობა შემატა.

თავდაპირველად ძალები „კლასიკოსებმა“ მოსინჯეს. სამწუხაროდ, პირველობა შვიდ წონითს კატეგორიაში ჩატარდა. მიზეზი ის იყო, რომ სპორტსმენთა გარკვეული ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობდა, კარგი იქნება თუ ასპარეზობის მომწყობნი მომავალში გაითვალისწინებენ ამას.

I ადგილები და სკოლის ჩემპიონობა მოიპოვეს: თ. კვაშილავამ (ცხაკაია), თ. ბუდაგოვმა, გ. თავაძემ, ზ. წკრიალაშვილმა, ა. აფრიამაშვილმა, ა. დოლიძემ (ყველა — თბილისი), თ. აფხაზავამ (ქუთაისი).

„კლასიკოსები“ ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შეცვალეს. აქ კი სულ სხვა სურათი წარმოგვიდგა. საასპარეზოდ ჩამოვიდნენ სოხუმის, მახარაძის, ქუთაისის, ცხინვალის, საგარეჯოს, რუსთავის, ბათუმისა და ონის ათლეტები. სულ 100-ზე მეტი მოჭიდავე ასპარეზობდა.

სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს სოხუმელმა გ. ხარებავამ, რუსთაველმა ტ. დიასამიძემ, ცხინვალელმა თ. სანაკოევმა, ონელმა ნ. მეტრეველმა, თბილისელებმა ვ. გუმბერიძემ და ა. თავხელიძემ...

განსაკუთრებით საინტერესო ბრძოლა გაიმართა პირველ ქვესაშუალო წონაში, სადაც თავი მოიყარა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ (25). გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი თბილისელ ვ. გუმბერიძესა და სოხუმელ გ. ხარებავას ჰქონდათ. გუმბერიძემ თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ტაქტიკოსმა. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში უპირატესობა სოხუმელის მხარეს იყო, გუმბერიძემ შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და გაიმარჯვა. გუმბერიძე უდავოდ კარგი მონაცემების მქონე ათლეტია. იმედია, იგი სულ მოკლე ხანში გამოცდილებასაც შეიძენს. მით უმეტეს, რომ ამ ნიჭიერ მოჭიდავეს წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. ბერიაშვილი, რომელმაც სულ ახლახან დაიწყო მწვრთნელად მუშაობა.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაისაკუთრეს: შ. კოტორაშვილმა (თბილისი), ზ. სულაქველიძემ (ქუთაისი), ი. მაღალაშვილმა, ა. გიორგობიანმა, ვ. გუმბერიძემ, ვ. იმერლიშვილმა, შ. ახმედოვმა, მ. ილურიძემ, თ. მერმანიშვილმა და ა. ჭუაძემ (ყველა — თბილისი).

უნდა აღინიშნოს სკოლის დირექციის (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. რურუა) გულისხმიერი დამოკიდებულება მონაწილეებისადმი. ცალკეულ შეხვედრებს სჯიდნენ ჩვენი სახელოვანი ფალავნები რ. რურუა, ზ. ბერიაშვილი და ლ. თედიაშვილი.

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

საკავშირო პირველობებზე „ა" კლ. I ჯგუფი

პრესინგი — ამჯერად მხოლოდ მოკავშირე

თბილისის „ბურევესტნიკისა" და დონეცკის „ავანგარდის" გუშინწინდელი მატჩი ზუსტი ანალოგია იყო წინადღით გამართული შეხვედრისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დონეცკელმა კალათბურთელებმა ჯეროვნად შეაფასეს მარცხის მიზეზები, გაითვალისწინეს მეტოქის სუსტი თუ ძლიერი მხარეები და ბრძოლის სიუჟეტიც ამ კორექტივების შესაბამისად ააგეს.

თამაშის საერთო სქემა უცვლელი დარჩა. არ შეცვლილა განწყობილებაც. სტუმრები უფრო ფრთხილად და ყურადღებით იცავდნენ თავს. ეს იყო, თუ შეიძლება ითქვას, ერთადერთი სიახლე, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მატჩის საბოლოო შედეგზე.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ბრძოლისუნარიანი და სათამაშო დისციპლინის მხრივ სრულყოფილი კოლექტივი I ჯგუფის გუნდებში არ გვინახავს. ერთი რამაა გასაკვირი: რატომაა „ავანგარდი" სატურნირო ცხრილში მოკრძალებულ, VI ადგილზე და რატომ უნდა ჰქონდეს ამ საოცრად ერთსულოვან კოლექტივს 14 წაგება? შესაძლოა დონეცკელმა კალათბურთელებმა თავიანთ ხელწერას ტურნირის მეორე ნახევარში მიაგნეს, შესაძლოა პირველობის სტარტზე მათი შემადგენლობა არ იყო სტაბილური და მკვეთრად გამოხატული. ასეა თუ ისე, „ავანგარდმა" თბილისში ჩატარებული ორი მატჩით სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და რამდენიმე საინტერესო ტაქტიკური სიურპრიზი შემოგვთავაზა.

თუნდაც ისევ ის. პრესინგი, უაღრესად მობილური, მაგრამ მჭიდრო, რომელიც ხშირად წესებით დაშვებულ ნორმებს სცილდება. დონეცკელები ამის გამო ხშირად ჯარიმდებიან, მაგრამ თამაშის სტილს მაინც არ ღალატობენ, სტილს, რომელშიც მთავარია ხელი შეუშალო მეტოქეს შეტევის ორგანიზაციაში, შეძლებისდაგვარად არ მისცე მას ბურთის მიღების საშუალება და, რაც ყველაზე მთავარია, კალათში ტყორცნის შესაძლებლობა.

დონეცკელთა პრესინგს ერთი მარტივი საიდუმლოება აქვს: ისინი არ ერიდებიან ჯარიმების მიღებას იმიტომ, რომ გრძელი სკამის იმედი აქვთ. არ ერიდებიან დარღვევებს, ვინაიდან არც ერთი ახალი შემოსული მოთამაშე არც ოსტატობით, არც ფიზიკური ძალითა და არც ბრძოლისუნარიანობით თავის წინამორბედს არ ჩამოუვარდება.

„ავანგარდმა" ამ მატჩშიც მძიმე დანაკლისი განიცადა — მოედანი ზედიზედ რვა მოთამაშემ დატოვა და ბოლოს გუნდს ისევ ოთხი კალათბურთელით მოუხდა მატჩის დამთავრება. მაგრამ მდგომარეობის შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ანგარიშში სხვაობა 20 ქულას აღემატებოდა.

ორიოდე სიტყვა ჩვენს ბიჭებზე. „ბურევესტნიკი" ასეთ ბრძოლას შეჩვეული არ არის. როგორც კი მეტოქის მარწუხებში აღმოჩნდა, დაიბნა და, რაც ყველაზე მძიმე იყო, თავის სტილს უღალატა. დაირღვა კავშირი ხაზებს შორის, დაირღვა საერთო რიტმი და სულ მალე გუნდი მეტოქის გავლენის ქვეშ მოექცა.

„ბურევესტნიკს" თავისი გამოკვეთილი ხელწერა აქვს. კარგია თუ ცუდი, ეს მისი საბრძოლო იარაღია, დროით გამოცდილი და ყოველი მოთამაშის შეგნებაში ღრმად ჩაჭედილი მანერა. ამიტომ მისი შეცვლა ნაუცბათევად, თამაშის პროცესში, არაფერს სასიკეთოს უქადდა გუნდს. „ბურევესტნიკში" თამაშობს მაღალაშვილი, რომლის მთავარი ღირსება ზუსტი ტყორცნაა. როცა გუნდი მას ტყორცნისთვის პირობებს უქმნის, წარმატებასაც აღწევს. სხვა მხრივ მაღალაშვილის მოედანზე ყოფნა გაუმართლებელია. ამ მატჩში კი იგი შერეულ ფუნქციებს ასრულებდა და იშვიათად ტყორცნიდა კალათში. ასევე ბოლომდე ვერ გამოიყენეს ჭეიშვილის კომბინაციური ნიჭი, მაღალთაძის ბრძოლისუნარიანობა, ჯგერენაიას ფლანგური გასვლები, ბოლქვაძის სიმაღლე ფარქვეშ ბრძოლისთვის...

— ერთი სიტყვით, „ბურევესტნიკი" თავიდანვე მისთვის უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა და ვერაფრით დააღწია თავი ამ გაურკვევლობას. ამიტომაც მატჩის საბოლოო ანგარიში (90:67 „ავანგარდის" სასარგებლოდ, ტაიმი — 44:33) იყო ბრძოლის ლოგიკური შედეგი და იმ უპირატესობის ობიექტური გამოხატვა, რასაც ჩვენმა სტუმრებმა მეორე მატჩში მიაღწიეს.

ნ. ახვლედიანი.

20:20

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო გათამაშების პირველი წრის ბოლოსწინა ტურის მატჩები. ამ დროისთვის ასპარეზობას 8-8 ქულით ლიდერობდნენ კრასნოიარსკელთა, ჩერკასელთა და თბილისელთა გუნდები. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ტურის შეხვედრები ლიდერთა სატურნირო მდგომარეობაში არსებითს ცვლილებას შეიტანდა, ვინაიდან კრასნოიარსკის „ცვეტმეტი" და თბილისის „ბურევესტნიკი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათ მართლაც თავდაუზოგავად იბრძოლეს.

მასპინძლებმა თამაშის დებიუტი უხეიროდ ჩაატარეს და მეტოქეს საგრძნობლად დაწინაურების საშუალება მისცეს — 5:1. თბილისელები ლიდხანს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას და ბოლოს, როცა ტაიმის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა, ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე დაიყვანეს — 9:11.

არც მეორე ტაიმში იყო ჩვენი გუნდის საქმე კარგად, მაგრამ მან ბოლოს მაინც შეძლო ჩარხის წაღმა დატრიალება: 38-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 18:18, 39-ე წუთზე კი ჩვენები დაწინაურდნენ კიდეც — 19:18.

შეხვედრის ენდშპილში ორივე გუნდს დაღლა დაეტყო და საბოლოოდ მეტოქეები საყაიმო ანგარიშს შეურიგდნენ — 20:20.

სამაგიეროდ, იმარჯვა ტურნირის მესამე ლიდერმა — ჩერკასის „ოსვიტამ", რომელმაც დაამარცხა ვილნიუსის „შვიესა" — 18:11 (8:5), 2 ქულა მოიპოვა და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ახლა ამ გუნდს 10 ქულა აქვს, თბილისელებსა და კრასნოიარსკელებს კი 9-9.

ბერეგოვოს „კოლოსმა" ფრედ დაამთავრა შეხვედრა ოდესის „ლოკომოტივთან" — 14:14 (8:10), ხოლო ერევნის „ბურევესტნიკმა" მოუგო ალმაათელ თანაკლუბელებს — 22:17 (9:7).

[illegible]...

ქალთა გუნდებმა პირველი წრის დასკვნითი მატჩები გამართეს. შედეგები ასეთია: „შვიესა" — „ბურევესტნიკი" (ერევანი) 20:20 (14:8), „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „კოლოსი" 17:19 (7:7), „ლოკომოტივი" — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 12:18 (8:9), „ცვეტმეტი" — „ოსვიტა" 20:18 (10:7). პირველი წრის შემდეგ გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1-2. „ბურევესტნიკი" (თბილისი), „ცვეტმეტი" — 11-11 ქულა, 3. „ოსვიტა" — 10, 4. „კოლოსი" — 9, 5-6. „შვიესა", „ბურევესტნიკი" (ერევანი) — 5-5, 7. „ლოკომოტივი" — 3, 8. „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — 2.

I-VI ადგილებზე გასული კოლექტივები მაისში მეორე წრის მატჩებს ჩაატარებენ და მაშინ გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც გაისად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მიენიჭება.

ულიდეროდ

გუშინწინ დაიწყო „ა" კლასის I ჯგუფის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო გათამაშების მეორე წრე.

ამ დასკვნითი ტურნირის პირველ დღეს თბილისის „ბურევესტნიკი" ხარკოვის „მეტალისტს" მასპინძლობდა. თბილისელთა უპირატესობა მთელი მატჩის მანძილზე აშკარა იყო: მათ მართლაც იოლად გაიმარჯვეს — 30:19 (16:7). ჩვენებს შესაძლებლობა მიეცათ გამოეცადათ თითოეული მოთამაშის მზადყოფნა ამ ტურნირისთვის. მატჩში გუნდის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა და ყველას მიუძღვის დამსახურება წარმატებაში.

მოედანზე არ გამოსულა მხოლოდ ჯ. ცერცვაძე. სამწუხაროდ, იგი მომდევნო შეხვედრებშიც ვერ ითამაშებს, ვინაიდან ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ არის ჯანზე. ამდენად, თბილისის „ბურევესტნიკი" რთული პრობლემის წინაშე დგას, რადგან ულიდეროდ ძლიერ მეტოქეებთან თამაში, მოგეხსენებათ, ძნელია.

— სწორედ ამ ვითარებაში გვმართებს ძალის მოკრება. უკან დახევის გზა მოჭრილია, ახლა მთავარია ბრძოლა უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის, — გვითხრა თბილისელთა მწვრთნელმა ჯ. ბაგრატიონმა და დასძინა, გუნდის თითოეულ წევრს შეგნებული აქვს ამოცანის სირთულე და მნიშვნელობა.

მეორე წრის 1 ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ტირასპოლის გუნდი — „ბოლშევიკი" (ლენინგრადი) 29:28 (14:14), ასკ (ლვოვი) — „პოლიტექნიკი" (მინსკი) 28:25 (10:13).

გუნდების სატურნირო მდგომარეობა 11 აპრილისთვის: „ბურევესტნიკი" — 21 ქულა, ასკ — 20, ტირასპოლის გუნდი — 19, „ბოლშევიკი" — 15, „პოლიტექნიკი" — 14, „მეტალურგი" — 11.

გ. ირინაული.

რაიონებში [illegible]

წითელი წყარო

ადგილობრივი ქართული საშუალო სკოლისა და არბოშიკის მოსწავლე კალათბურთელთა შეხვედრაში იმარჯვეს სტუმარმა ჭაბუკებმა — 53:42.

უ. წყარუაშვილი.

12 აპრილი კოსმონავტიკის დღე

„თანამგზავრი"

ვ. ინწკირველი
(თბილისი)

თეთრები იგებენ

ცნობილმა მოშაშემ ვ. ინწკირველმა, რომელიც საშაშო კომპოზიციის დარგშიც ნაყოფიერად მუშაობს, თავისი ახალი ნაწარმოები კოსმონავტიკის დღეს მიუძღვნა.



შეამოწმეთ თქვენი ამოხსნა

„ლელოს" 1972 წლის 259-ე ნომერში გამოქვეყნებული კომპოზიციის სწორი ამოხსნაა: 1. 28—23 19:17 2. 38—32 36:47 3. 40—35 47:24 4. 39—33 24:27 5. 35:31 მოგებით.

სხვათა შორის, გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ასუჯრიანი შაშის სამი წესი, რომლებითაც იგი რუსული შაშისგან განსხვავდება.

„პასუხი...

საქართველოს ჩემპიონები ასუჯრიან შაშში

მკითხველ ი. კანდელაკს (ცასპი) აინტერესებს: როდის და ვინ იყვნენ საქართველოს ჩემპიონები ასუჯრიან შაშში.

გთავაზობთ ტურნირის ჩატარების წელს, ადგილს, მონაწილეთა რაოდენობასა და ჩემპიონთა ვინაობას.

I.	1962 წ.	თბილისი	14	თენგიზ ბარამიძე (თბილისი)
II.	1963 წ.	თბილისი	12	ს. საგიევი (თბილისი)
III.	1964 წ.	თბილისი	12	გ. ბარამიძე (სოხუმი), ბ. ლიტვაკი (თბილისი)
IV.	1965 წ.	თბილისი	14	გ. ბარამიძე
V.	1966 წ.	თბილისი	15	გ. ბარამიძე
VI.	1967 წ.	თბილისი	14	თენგიზ ბარამიძე
VII.	1968 წ.	თბილისი	14	ს. თომაშვილი (თბილისი)
IX.	1969 წ.	თბილისი	16	თენგიზ ბარამიძე (რუსთავი)
X.	1971 წ.	სოხუმი	14	გ. ბარამიძე
XI.	1972 წ.	თბილისი	16	ბ. შავერდიანი (თბილისი)
XII.	1973 წ.	თბილისი	14	ვ. ბახტაძე (თბილისი)

დაწინაურდა შტეინი

ლას-პალმასი, 11 აპრილი. ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი ლ. შტეინი. 7 ტურის შემდეგ მას 5 ქულა აქვს. გადადებულ პარტიებში შტეინმა სძლია ესპანელ დ. კორალს და უნგრელ ზ. რიბლის, რომელიც აქამდე თავად ლიდერობდა.

II-III ადგილებზე არიან დიდოსტატები ფ. გეორგიუ (რუმინეთი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 4,5-4,5 ქულა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანს 4 ქულა აქვს, ისევე როგორც კიდევ სამ მოჭადრაკეს. VII ტურში პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კ. დარგასთან (გფრ).

ლიდერთა ტრიუმვირატი

ლიუბლიანა, 11 აპრილი. გამოჩენილი იუგოსლაველი მოჭადრაკისა და არბიტრის მ. ვიდმარის მემორიალში 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), ლ. პორტიში (უნგრეთი) და ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — 3,5-3,5 ქულა.

საბჭოთა დიდოსტატი ა. სუეტინი მოჭადრაკეთა იმ ჯგუფშია, რომლებსაც 3-3 ქულა აქვთ. ოსტატ ი. რაზუვაევს 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

V ტურში სუეტინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უნგრეთის ჩემპიონ ი. ჩომთან, ხოლო რაზუვაევმა გადადო პარტია დიდოსტატ ბ. პარმასთან (იუგოსლავია).

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

მოსწავლეები „ნეპტუნის სამეფოში"

ასამდე ბიჭი და გოგონა მონაწილეობდა კაუნასის 28-ე საშუალო სკოლის საცურაო აუზზე ლიტვის მრავალგზის ჩემპიონთან და რეკორდსმენთან, ამჟამად მწვრთნელ შ. იაკშიავიჩიუსთან მოწყობილ შეხვედრაში.

ქალაქის უდიდესი საცხოვრებელი მასივის დაინავას ყველა სკოლაში დადიან სტუმრად მოცურავეთა სხვა მწვრთნელებიც, რათა მოსწავლეებს ცისფერი ბილიკები შეაყვარონ.

წლეულს თავისი აუზი მიიღო 24-ე სკოლამაც, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში, ვილიიამპოლეს სამრეწველო რაიონში მდებარეობს. ახალმა აუზმა ფართოდ გაუღო კარი მთელი რაიონის მოსწავლეებს.

— როცა ყველა მსურველს გავუხსენით გზა წყლის ბილიკებისკენ, ამით ერთდროულად ორი ამოცანის გადაჭრა გვსურდა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სპორტული სკოლის დირექტორმა ს. შეშკიავიჩიუსმა. — ჯერ ერთი, გვინდა მასობრივად შევასწავლოთ ცურვა სულ პატარებს და მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩავაბარებინოთ. მეორეც, ვაპირებთ ყველაზე ნიჭიერი ბავშვები სპორტული ოსტატობის ჯგუფისთვის შევარჩიოთ.

წლეულს სასკოლო აუზებში ათასი ბიჭი და გოგონა მეცადინეობს — პირველი სამი კლასის მოსწავლეები. მათგან სამასმა უკვე ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები ცურვაში.

გაისად ეს თაოსნობა ქალაქის სხვა რაიონებზეც გავრცელდება. კაუნასში გაიხსნება კიდევ ორი აუზი, რომელთაგანაც ერთს ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა აგებს.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, რომ ცურვის გაკვეთილები სავალდებულოდ იქცეს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითს კლასებში. ორ სკოლაში უკვე ტარდება ეს გაკვეთილები.

კაუნასის გამოცდილება უკვე ლიტვის სხვა ქალაქებშიც დაინერგა. რესპუბლიკის ათ დახურულ აუზზე უკვე სამი ათასი მოსწავლე მეცადინეობს სპორტული ოსტატობის ჯგუფებში, ხოლო 10 ათასი ცურვის ანბანს სწავლობს. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ლიტვის მოცურავეთა წარმატებებს. ახლა მათს გვარებს საკავშირო პირველობებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა სიებშიც ხშირად შეხვდებით. მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის მოცურავეთა ნაკრების კომორგი იყო ქვეყნის ჩემპიონი ბირუტე უჟკურაიტიტე. ვარჯიში მან იმ დროს კაუნასში ერთადერთ დახურულ აუზში დაიწყო, სადაც თავის ორ დასთან ერთად გაიარა გზა მშდ კომპლექსის ნიშნოსნიდან სპორტის ოსტატამდე.

ს. ვაინტრაუბასი.
(საკდესის კორ.).

ვილნიუსი.



ლენინგრადი. სპორტის სასახლე „იუბილეინი“.

როგორც ცნობილია, ამას წინათ აქ დამთავრდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი ჰოკეიში.

• • •

სურათზე: ევროპის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები. მარცხნიდან, პირველი რიგი — ი. ნოვიკოვი, ა. მალიუგინი, ვ. ლავრენტიევი, ვ. მიშკინი, ვ. ლოხმატოვი; მეორე რიგი — ვ. გოსტიუჟევი, მ. კოვალიოვი, ვ. კუჩერენკო, ფ. კანარეიკინი, ე. ლუკაშინი; მესამე რიგი — ი. რომიშევსკი (მწვრთნელი), ვ. ჟლუკტოვი, ვ. გოლიკოვი, ა. კორნიჩენკო, ს. მელიკოვი, ი. მოროზოვი (მწვრთნელი), ა. ბალდინი, ე. ვასილიევი, ი. ბაულინი (გუნდის უფროსი მწვრთნელი).

ნ. ნაუმენკოვისა და ბ. ჩერვიაკოვის ფოტო (საქდესი).

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის შეხვედრები.

I ჯგუფი

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა ჭიათურელმა მალრაძემ. შემდგომში საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მეშახტეებს, რომელთა იერიშებს მხოლოდ 88-ე წუთზე მოჰყვა სასურველი შედეგი: ტროიანმა თანაფარდობა აღადგინა.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

მასპინძელთა დიდი უპირატესობა დამთავრდა მაჩხელიანისა და ჯინჭარაძის ორი გოლით.

● „კახეთი“ (თელავი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

თელაველები თავიდანვე ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ მოხდა ისე, რომ ხაშურელ ლომსაძეს ზედიზედ ორჯერ შეექმნა გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მან კი ორივეჯერ უხეიროდ ითამაშა. შემდეგ, უკვე მაშინ, როცა „ივერია“ მატჩს აგებდა, ოსაძეს შეეძლო ეხსნა თავისი გუნდი დამარცხებისგან, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი მიზანს ააცდინა. გოლი, რომელმაც „კახეთს“ მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა 54-ე წუთზე კობახიძის მიერ.

● „მარტვილი“ (გეგეჭკორი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

საუცხოოდ ითამაშა „მარტვილის“ მეკარე ძაგანიამ, რომელმაც თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია გეგეჭკორელი ს. პატარაია.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამცხე“ (აწყური) 2:0. მსაჯი დ. შავიშვილი (ბათუმი).

● „სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველ წარმატებას მიაღწიეს ვანელებმა (გეფერიძე), ცოტა ხანში კი ჯოჯუამ საპასუხო ბურთი გაიტანა.

გაფრთხილებულია ვანელი თ. ნეფარიძე.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 0:1. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

მე-3 წუთზე არმიელმა პოტეხინმა მეტოქის კარში ბურთი გაიტანა. შემდგომში ლოკომოტიველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ წაგებას თავი ვერ დააღწიეს.

გაფრთხილება მიეცა „ლოკომოტივის“ მოთამაშე გ. მელაძეს.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გაძევებულია გორელი გ. პაპიტაშვილი და გაფრთხილებულია თ. ბაქრაძე.

II ჯგუფი

I ზონა

„მევენახე“ (ვაზისუბანი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 4:2, „ყინწვისი“ (ქარელი) — „შევარდენი“ (თბილისი) 1:1, „განთიადი“ (ბორჯომი) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 1:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) 3:0, „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 3:3.

II ზონა

„განახლება“ (ადიგენი) — „კოლმეურნე“ (აბაშა) 2:1, „ფეიქარი“ (ქუთაისი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:2, „მზიური“ (გალი) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 0:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 0:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 4:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 1:0.

II ჯგუფის პირველ ზონაში შეჯიბრების მონაწილეებს გამოაკლდნენ თეთრი წყაროს „გარისი“ და წითელი წყაროს „შირაქი“, ხოლო მეორე ზონაში — ფოთის „კომეტა“.

● ●

გათამაშების ცხრილი.

I ჯგუფი

მდგომარეობა 12 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	3	3	0	0	9—1	6
„კახეთი“	3	3	0	0	8—2	6
ფიზკ. ინსტიტუტი	3	2	1	0	5—1	5
„შუქურა“	3	2	1	0	4—1	5
ასკ	3	2	1	0	4—1	5
„მეშახტე“	3	1	2	0	2—1	4
„ქართლი“	3	1	1	1	7—4	3
„მარტვილი“	3	0	3	0	2—2	3
„მეტალ.“ (რუსთ.)	3	1	1	1	1—1	3
„მეტალ.“ (ზესტ.)	3	1	1	1	2—3	3
„მაღაროელი“	3	0	2	1	1—2	2
„სულორი“	3	0	2	1	3—5	2
„კოლხეთი“	3	0	2	1	2—4	2
„სამცხე“	3	0	2	1	1—3	2
„ეგრისი“	3	0	1	2	2—6	1
„ლოკომოტივი“	3	0	1	2	1—6	1
„ივერია“	3	0	1	2	2—8	1
„ალაზანი“	3	0	0	3	0—5	0

სპორტის მოყვარულის ბიბლიოთეკაში

საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი საპარაშუტო სპორტში, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო შეჯიბრებებში მოპოვებული 27 და საერთაშორისო სარბიელზე მოხვეჭილი 20 ოქროს მედალი... ლეონიდ იაჩმენევის ყველა ტიტულს და ყველა გამარჯვებას რა ჩამოთვლის! ამ სახელგანთქმულ სპორტსმენს ეძღვნება ჟურნალისტ ა. სილაკოვის ნარკვევი **„უშიშროგა“**, რომელსაც დოსააფის გამომცემლობა უშვებს.

გამომცემლობა ამ წიგნით ხსნის ახალ სერიას — „სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები“. დასაბეჭდად მზადდება ნარკვევი **„ცა მემკვიდრეობით“**, რომელიც ეძღვნება მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს უმაღლეს პილოტაჟში ს. სავიცკაიას.

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“ უახლოეს ხანში გამოუშვებს ამ წიგნებს:

„ყველა ზღვით ანუ ზღვაში ადამიანია“. ა. ივანჩივის მოთხრობა. მასში ნაამბობია მოსწავლე იური კაჩაევის მხიარულ თავგადასავალზე „რთული“ ბავშვების ბანაკში. ფრიადოსანი იურკა, გამომგონებელი და ფანტაზიორი, ამ ბანაკში ხვდება. ბავშვებს აახლოებს შრომა და სპორტი.

„ქვეყნის სპორტული ხასიათი“. ჟურნალისტ ს. ტოკარევის ეს წიგნი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. იგი მოიცავს ნარკვევებს თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებზე.

„საერთაშორისო სპორტული მოძრაოგა“. ამ დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორია სოკ-ის საპატიო წევრი ა. რომანოვი. წიგნი გვიამბობს საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაზე და მასში საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების მონაწილეობაზე.

„ახალგაზრდა ფეხბურთელთა წვრთნა“. ეს კრებული უნგრულიდანაა თარგმნილი. მასში თავმოყრილია უნგრეთის მოწინავე სპეციალისტების სტატიები, რომლებშიც ლაპარაკია თანამედროვე სპორტული წვრთნის გამოცდილებაზე, ახალგაზრდა ფეხბურთელთა მზადების ძირითად პრობლემებზე.

(საქდესი).



◆ **მინსკი, 11 აპრილი.** ბელორუსიის თასისთვის მებრძოლ 23 გუნდში წლეულსაც უძლიერესი აღმოჩნდა ტურნირის მასპინძელი ქალების ნაკრები: ფინალში მან ანგარიშით 9:7 სძლია მოსკოველ რაპირისტებს. ეს შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა. მეტოქეები უკვე ფლობდნენ ამ საპატიო ჯილდოს (თასის გათამაშება მერვედ ჩატარდა) და მინსკის საფარიკაო ბილიკზე არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ამჯერად პირველი ორი დუელი მოსკოველებმა მოიგეს, მერე კი ბელორუსიის წარმომადგენლებმა ზედიზედ ექვსჯერ გაიმარჯვეს. მაგრამ, როცა მე-14 ორთაბრძოლა დამთავრდა, ანგარიში გათანაბრდა — 7:7. შემდეგ ახალგაზრდა ნ. კოზლენკომ მოსკოველ ტ. ლიუბეცკაიას აჯობა, ე. ბელოვამ კი აშკარად დაჯაბნა ტ. ზოლოტოვა. მომდევნო ადგილებზე არიან: 3. რსფსრ, 4. პოლონეთი, 5. გდრ.

◆ **დელი, 11 აპრილი.** ჭადრაკში ინდოეთის ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდა (ეს თავისებური რეკორდია) საერთაშორისო ოსტატი სამხრეთ ინდოეთის შტატ ტამილნადიდან მანუელ არონი — 5,5 ქულა 7-დან. მადრასელმა ბანკის მოხელემ ქვეყნის ჩემპიონის წოდება პირველად 14 წლის უკან მოიხვეჭა, როცა 24 წლისა იყო. მ. არონი ერთადერთი ინდოელი მოჭადრაკეა, რომელიც საერთაშორისო ოსტატის წოდებას ატარებს.

◆ **სელიე, 11 აპრილი. 27 წლის ნატაშა ურბანჩიჩმა აქ გამართულ შეჯიბრებაში იუგოსლავიის რეკორდი დაამყარა — 62,12 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში.**

◆ ლევერკუზენი, 11 აპრილი. გფრ-ის მძლეოსანთა ზამთრის ბოლო შეჯიბრებაში მ. შუმანმა დარბაზში 110 მეტრზე თარჯრბენში 13,7 წამი აჩვენა, რაც სულ 0,1 წამით უარესია მსოფლიო მიღწევაზე.

მორიგი ტირაჟი

არხანგელსკი, 10 აპრილი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ წლევანდელი გათამაშების მე-10 ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 16 (ტანვარჯიშში), 18 (რუსული რიყაობა), 26 (მოტობურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 45 (ფეხბურთი), 48 (ჭადრაკი).

შემდეგი ტირაჟი 20 აპრილს გაიმართება ლენინგრადში.

რედაქტორი **მ. კაკაბაძე.**

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

14 აპრილს

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 18 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში დღეს და ხვალ; აბონემენტებზე — ამავე დღეებში 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 14 აპრილს 10 საათიდან.

13 აპრილს

რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე

ითამაშებენ თბილისის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობანი.

დასაწყისი 18 ს.

ფეხბურთი... ჩვენს წელთაღრიცხვამდე

ეგვიპტის დედაქალაქში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც აფრიკაში სპორტის განვითარების ისტორიას მიეძღვნა. მოხსენებით გამოვიდა არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის ოლიმპიური კომიტეტის წევრი აჰმედ ელდემერდაში, რომელმაც ილაპარაკა ეგვიპტეში სპორტის განვითარებაზე ფარაონთა პერიოდიდან ჩვენს დღეებამდე. აკლდამის კედლებზე შემორჩენილი ნახატები, რომელთა თარიღია 2560 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მოწმობს, რომ ძველ ეგვიპტეში ტარდებოდა შეჯიბრებები ცურვაში, ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, ჭიდაობაში, მშვილდოსნობაში, ცხენოსნობაში.

ძველ ეგვიპტელებს ჰქონიათ თამაში, რომელიც თანამედროვე ფეხბურთს ჰგავს. ამას მოწმობს ჩანაწერები და ნახატები, რომლებიც ჩვენს ერამდე 2000 წლითაა დათარიღებული. ჩვენამდე საუკუნეთა სიღრმეებიდან მოღწეული საბუთები ადასტურებს იმასაც, რომ სპორტული შეჯიბრებები რეგულარულად ტარდებოდა და დიდძალ მაყურებლებსაც უყრიდა თავს.

(საქდესის კორ.).

კაირო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 08354